საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს
2015 წლის 20 მარტის
დადგენილება № 1467

რაულ კუპრავას სახელის
უკვდაყოფასთან დაკავშირებით

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორის, საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრის, საქართველოში ბიოსამედიცინო ინჟინერიის დარგის ერთ-ერთი ფუძემდებლის, ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენლის რაულ კუპრავას სახელის უკვდავსაყოფად და დაბადებიდან 70 წლის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით ჩატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

1. რ. კუპრავას სახელმძღვანელოს „მართვა ბიოსამედიცინო სისტემებში“ გამოცემა 150 ეგზემპლარად;
- რ. კუპრავას ხსოვნისადმი მიძღვნილი წიგნის „რაულ კუპრავა მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე“ გამოცემა 100 ეგზემპლარი;
- რ. კუპრავას საცხოვრებელ სახლზე მემორიალური დაფის განთავსება;
- მ/წლის მაისში გ. ნიკოლაძის სახ. დარბაზში რ. კუპრავას 70 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამოს ჩატარება და ფურშეტის მოწყობა.

2. აღნიშნული ღონისძიების განხორციელებაზე პასუხისმგებლობა დაევალოს ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტს;
3. ფინანსური უზრუნველყოფა მოხდეს ფაკულტეტის ბიუჯეტიდან.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე